პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ძირითადი მიზნები და ამოცანებია: ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ქუჩების, მოედნების, ბაღების, სკვერების და საერთო თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, მოვლა-პატრონობა, ნარჩენების შეგროვება-გატანა და კეთილმოწყობა. ასევე სერვის ჯგუფის საქმიანობაში შედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის მოვლა, აღდგენა, რეაბილიტაცია. სანაგვე ბუნკერების შეკეთება და აღდგენა, სანიაღვრე არხების სრულფასოვანი ფუნქციონირების ხელშეწყობა, ასევე, პროგრამით გათვალისწინებულია საერთო სარგებლობის სველი წერტილების მოვლა-პატრონობა და აღდგენა-რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხეტილ უპატრონო ცხოველების იმუნიზაცია, კასტრაცია და სტერილიზაცია. ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. სერვის ჯგუფში დასაქმებულია 170-მდე თანამშრომელი, ორგანიზაციის მიზანია დასაქმებულთა შრომის უსაფრთხოების დაცვა, სპეცტანსაცმლით უზრუნველყოფა, სამუშაო პირობების გაუმჯობესება, სატრანსპორტო საშუალებების მიმდინარე შეკეთება და მოვლა-შენახვა. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი კულტურული და სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში ხელშეწყობა, საბავშვო ატრაქციონებისა და გარე გამოყენების სპორტული მოწყობილობების მოვლა-პატრონობა, აღდგენა-რეაბილიტაცია, პერიოდულად ნარჩენების შემკრები ბუნკერების რეცხვა-დეზინფექცია, მწვანე ნარგავებისა და ხე-მცენარეების, საგზაო ნიშნების მოვლა-პატრონობა.		
მოსალოდნელი შედეგი	შექმნილია ეკოლოგიურად ჯანსაღი და სუფთა გარემო; დასუფთავების მუნიციპალური სერვისი ფუნქციონირებს ხარისხიანად და ეფექტურად.		



განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 6 491,8 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
04 00	განათლება	6 491,8
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	4 988,0
04 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება	4 988,0
04 02	განათლების დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	1 461,6
04 02 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	1 201,3
04 02 02	ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ტრანსპორტით უზრუნველყოფა	260,
04 03	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	42,2

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 01 01		4 988,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ - ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება		
	საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის თანახმად აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები საბავშვო ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 29 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 2 000 ბავშვი.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 470 აღმზრდელი, სხვა პერსონალი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დადგენილი მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებთან; ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა.		



მოსალოდნელი შედეგი	ახალციხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილია შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცულია საქართველოს მოქმედი კანმდებლობით დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცულია სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილია სამუშაო პირობებით. მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 2000-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 80%-ს შეადგენს		
--------------------	--	--	--

პროგრამის დასახელება	კოდი	განათლების დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02 01		1 201,3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისა და მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები. მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაცია და აღდგენა, ასევე მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასკოლო ტრანსპორტით.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა ხელშეწყობა განათლების მიღებაში და მათთვის კომფორტული გარემოს შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 02		260.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამიდან ფინანსდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის ხარჯები, ამასთანავე მანქანა დანადგარებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯები. ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯი.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები პატარების განათლების დონის ამაღლება და მოსახლეობის დასაქმების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		42,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების სპორტის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება წარმატებული სტუდენტების დაფინანსება ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიით. ქვეპროგრამის მიზანია სტუდენტების ხელშეწყობა,		



	წახალისება და მოტივაციის ამაღლება.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებული და მოტივირებული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4 775,1 ათასი ლარი. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4 765,1
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1 917,1
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	221,1
05 01 02	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	781,0
05 01 03	ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის კომპლექსური სასპორტო სკოლა	0,0
05 01 04	ა(ა)იპ – ახალციხის მძლეოსნობის სპორტული კლუბი	0,0
05 01 04	ა(ა)იპ – ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება	915,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2 544,9
05 02 01	ა(ა)იპ – ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება	568,5
05 02 02	ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა	450,0
05 02 03	ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა	169,0
05 02 04	ა(ა)იპ – ახალციხის ციხე	200,0
05 02 07	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	261,2
05 02 08	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	696,2
05 02 09	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	200,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	108,1
05 03 01	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	108,1
05 04	თეატრები	175,0
05 05	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	30,0

ქვეპროგრამის	კოდი	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
--------------	------	-------------------------------------



დასახელება	სპორტული ღონისძიებები	
	05 01 01	221,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახურის სპორტული პროგრამების განყოფილება	
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირების ორგანიზება; ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადი და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობენ ახალციხის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. პროგრამის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მოზარდების ჩართვა მასობრივი სპორტის სახეობებში და სხვ.	
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მასშტაბით ჩატარებული სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და მასში ახალგაზრდების მასიური ჩართულობა. მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა სპორტულ ღონისძიებებში. მეტი მოტივირებული ახალგაზრდა და წარმატებული სპორტსმენი.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		781,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცხოვრების დონის ამაღლება, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ახალციხის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 01 05		915,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ახალციხის მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანება		
	სპორტული გაერთიანება მოიცავს 8 სპორტულ მიმართულებას (კლუბს), ესენია: ფეხბურთი, (სპორტული გაერთიანების ბაზაზე ფუნქციონირებს ფეხბურთის გუნდი „სამცხე“), ჭიდაობისა და ძიუდოს კლუბი, მძლეოსნობის კლუბი, რაგბის კლუბი, ჭადრაკის კლუბი, კალათბურთის კლუბი, კრივის კლუბი, ორთაბრძოლის კლუბი, სპორტულ გაერთიანებაში სპორტის სახეობებს ეუფლება 470 მოზარდი, რომელთაც სამწვრთნელო პროცესი უტარდებათ კვირაში 3-ჯერ, სპორტულ გაერთიანებაში დასაქმებულია 63 თანამშრომელი, მათ შორის მწვრთნელი - 34 და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი - 29. სპორტული გაერთიანების სპორტსმენები პერიოდულად მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ტურნირებში როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური და რესპუბლიკური მასშტაბით, მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც. სპორტული გაერთიანება მიზნად ისახავს სისტემატურად იზრუნოს სპორტული მოედნის, ბილიკებისა და მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობაზე, ქვეპროგრამის განმახორციელებელის თანაბრად უწყობს ხელი როგორც გოგონების, ასევე ვაჟების დაინტერესებას, ხელშეწყობას და მოზიდვას სპორტულ სახეობებში. ქვეპროგრამის მიზანია ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება-პოპულარიზაცია, სპორტსმენების განვითარების ხელშეწყობა, ოლიმპიურ, მსოფლიო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე ლიცენზიების მოპოვება და ღირსეულად წარდგომა და სხვ.
მოსალოდნელი შედეგი	წარმატებით ჩატარებული ადგილობრივი და გასვლითი სპორტული შეჯიბრებების გაზრდილი რაოდენობა. მეტი წარმატებული სპორტსმენი, გაუმჯობესებული და განახლებული სპორტული ინფრასტრუქტურა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		568,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ – ახალციხის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლი, 1 სკოლა-მუზეუმი, 13 ბიბლიოთეკა, 13 ახალგაზრდული ცენტრი და ერთი ფოლკლორული ანსამბლი - „მესხეთი“. კულტურის სახლებში გაერთიანებულია ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებები, ქორეოგრაფიული, ფოლკლორული, ბავშვთა მუსიკალური წრეები. წრეების სწავლების პროგრამებში მონაწილეობს 700 ახალგაზრდული, ფოლკლორული ანსამბლი „მესხეთი“ შედგება 11 წევრისაგან. ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს როგორც მუნიციპალიტეტში დაგეგმილ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის გარეთ სხვადასხვა ფესტივალებში. გაერთიანებაში შემავალ სოფელ მუსხის სკოლა-მუზეუმში ახალგაზრდები ეუფლებიან ტრადიციული მესხური ფარდაგ-ხალიჩების ქსოვის, მატყლის დამუშავების ხელოვნებას. დღეის მდგომარეობით მუზეუმში განთავსებულია 3000 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 700-ს. მუნიციპალიტეტის 13 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 127 160 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 16 000 მოსახლე (გაცემული წიგნების რაოდენობით) 2023 წლისათვის 12 660 ლარია გათვალისწინებული ახალი წიგნების შესაძენად (მკითხველთა მოთხოვნის შესაბამისად). მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაქვემდებარებაში შემავალი 13 ახალგაზრდული ცენტრის მიზანია ქვეპროგრამის ფარგლებში ახალგაზრდების დაინტერესება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობებით, რათა არ მოხდეს ახალგაზრდობის მიგრაცია სოფლიდან ქალაქად და მეტი ახალგაზრდა ჩაერთოს კულტურულ ღონისძიებებში, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას და შემენილი უნარ-ჩვევები გამოყენებას სოფლის სასარგებლოდ (ახალგაზრდობის ცენტრები ძირითადად სოფლადაა). ქალაქ ახალციხეში 2021-2022 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა (ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე) ახალგაზრდულ ცენტრს, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა წრეობრივი მუშაობისათვის, სადაც ახალგაზრდებს შეეძლებათ საკუთარი უნარ-ჩვევების გამოვლინება. ახალგაზრდულ ცენტრებში აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდა მუშაკები, რომლებიც ჩართულები არიან სოფლის განვითარებაში. ესმარებიან მოსახლეობას სხვადასხვა აქტივობების შესრულებაში. მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობის ქვეპროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა ახალგაზრდულ ცენტრებში. ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და სხვ.		
	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი კულტურის დაწესებულებები შეუფერხებლად ფუნქციონირებენ. კულტურის სახლები და ახალგაზრდული ცენტრები სრულად აკმაყოფილებენ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების და მოზარდების მოთხოვნას ქორეოგრაფიულ, ფოლკლორულ		

შედეგი	და მუსიკალურ წრეებზე, რაც ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების მქონე ბავშვების და მოზარდების რეალიზებას, მოზარდების ნაკლებ მიგრაციას ქალაქში. ბიბლიოთეკები (განახლებული ახალი წიგნადი ფონდით) და მუზეუმი საკუთარ მომსახურებას სთავაზობენ მსურველებს.
--------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამუსიკო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 02		450,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ახალციხის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება 3 სამუსიკო სკოლა: ქალაქ ახალციხის, ქალაქ ვალის და სოფელ აწყურის სამუსიკო სკოლები, რომლებშიც დაწყებით და საბაზისო მუსიკალურ განათლებას იღებს სულ 338 მოსწავლე. ორგანიზაციაში დასაქმებულია 52 პედაგოგი და 17 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი. სამუსიკო სკოლებში ფუნქციონირებს 3 განყოფილება: საფორტეპიანო, საგუნდო-სადირიჟორო და საორკესტრო. ქვეპროგრამის განხორციელების მიზანია ახალციხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობების მუსიკალური, კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, მუნიციპალიტეტის კულტურული გარემოს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბება, საზოგადოების აქტიური ჩართვა მიმდინარე კულტურულ პროცესებში, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეთა დაინტერესება. სამუსიკო სკოლები ხელს უწყობენ და აძლევენ შესაბამის განათლებას განსაკუთრებული მუსიკალური მონაცემების მქონე მოსწავლეებს, რომლებიც მომავალში გეგმავენ უმაღლესი მუსიკალური განათლების მიღებას. სისტემატურად მიმდინარეობს პედაგოგთა გადამზადება, რათა ამაღლდეს მათი შესაძლებლობები და ერთნაირად იზრუნონ ყველა ბავშვზე, მათ შორის შშმ მოსწავლეებზე. პროგრამის მიზანია ყველა დაინტერესებულმა ბავშვმა მიიღოს დაწყებითი მუსიკალური განათლება. მოხდეს ეროვნული უმცირესობის მუსიკალური ცნობიერების ამაღლება, რათა სკოლის ასაკიდანვე ეზიარონ ქართულ მუსიკას. მოსწავლეებმა მიიღონ მონაწილეობა, როგორც რეგიონულ ისე ეროვნულ და საერთაშორისო ფესტივალებში. პედაგოგთა მაღალი შემოქმედებითი აქტივობის შედეგად გამოვლინდა მრავალი ნიჭიერი მოსწავლე, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს რეგიონის, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ღონისძიებებსა და კონკურსებში. პროგრამის ფარგლებში ეტაპობრივად უნდა გაიზარდოს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, რათა მოხდეს სკოლებში მაღალი დონის სპეციალისტების შენარჩუნება და ახალგაზრდა თაობისათვის სკოლაში მუშაობის დაწყების მოტივაციის ამაღლება და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუსიკალური განათლება ხელმისაწვდომია მუნიციპალიტეტის ყველა მოსწავლისათვის, წინა წელთან შედარებით გაზრდილია მოსწავლეთა რაოდენობა 5%-ით. მაღალია მუსიკალური კულტურა, მუნიციპალიტეტში სისტემატურად ტარდება მუსიკალური ფესტივალები და კონკურსები. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები მონაწილეობენ და წარმატებებს აღწევენ რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო კონსკურსებსა და ფესტივალებზე. მნიშვნელოვნად ამაღლებულია მოსწავლეთა მუსიკალური განათლების დონე; განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის მქონე კურსდამთვრებულები სწავლას აგრძელებენ უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებში.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამხატვრო ხელოვნების შესწავლა და პოპულარიზაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		169,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულება - ქალაქ ახალციხის სამხატვრო სკოლა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ახალციხის სამხატვრო სკოლაში ისწავლება ხელოვნების შემდეგი მიმართულებები: ხატვა, ფერწერა, მოდელირება, ქანდაკება, კერამიკა, გამოყენებითი ხელოვნება. მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება ხალხური ფარდაგების და თექის დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა. სკოლა წარმატებულია როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით. სკოლის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოფენებსა და კონკურსებში მიღებული აქვთ საპრიზო ადგილები. სკოლაში დასაქმებულია 12 თანამშრომელი, აქედან: 8 პედაგოგი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ახალციხის სამხატვრო სკოლაში 2021-2022 სასწავლო წელს ირიცხებოდა 312 მოსწავლე. სწავლის მსურველთა რიცხვი იმატებს ყოველწლიურად, გასულ წელს განხორციელდა სკოლის რეაბილიტაცია. სკოლის ბიუჯეტი შეადგენს 111 464 ლარს. 2023 წელს მოსწავლეთა რაოდენობა განისაზღვრება 349 მოსწავლის ოდენობით და ბიუჯეტი იზრდება 159 000 ლარამდე.		



	მომავალი თაობების აღზრდაში, ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მოსწავლეთათვის ხელოვნების შესწავლას. ახალციხის სამხატვრო სკოლის მიზანია მომავალი თაობების კულტურული და ესთეტიკური აღზრდა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, განვითარება, შესაბამისი ინფრასტრუქტურისა და მომსახურების გაუმჯობესება. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სწავლის დონის განვითარების ხელშეწყობა, სრულფასოვანი სასწავლო გარემოს შექმნა და სხვ.
მოსალოდნელი შედეგი	დაწესებულების სასწავლო და კულტურული გარემო მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია, ხდება მოსწავლეთა ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარების სტიმულირების მაქსიმალური ხელშეწყობა, სამუშაო ჯგუფების მუშაობა გაუმჯობესებული, დახვეწილი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულია. აქტიურად ხორციელდება შშმ მოსწავლეთა აქტივობის ამაღლება და საზოგადოებაში სოციალური ინტეგრაცია და სხვ.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	„ახალციხის ციხის“, როგორც ტურისტული ობიექტის განვითარებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ - ახალციხის ციხე		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „ახალციხის ციხის " წარმოჩენა-პოპულარიზაციას, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობას ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, შენახვას, დასუფთავებასა და გამწვანებას.		
	მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ "ახალციხის ციხე" გახსნის დღიდან ყოველწლიურად ტურისტების მზარდ ნაკადს მასპინძლობს, საქართველოს ტურისტულ ბაზარზე ობიექტის სწორი პოზიციონირებით ციხის ადმინისტრაციის მიერ წარმოებული სტატისტიკური მონაცემების მაჩვენებლების მნიშვნელოვნად გაზრდაა შესაძლებელი. ა(ა)იპ "ახალციხის ციხეს" აქვს პოტენციალი კიდევ უფრო დიდი წვლილი შეიტანოს მუნიციპალიტეტის შემოსავლების, დასაქმებისა და ინვესტიციების ზრდაში. რეკლამირება, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზარზე, ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობა, სწორედ დაგეგმილი ინფო-ტურები და მოწვეულ ტურისტული სააგენტოებისათვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის პროდუქტისა და მომსახურების შეთავაზება მნიშვნელოვნად გაზრდის "ახალციხის ციხის" და ზოგადად ქალაქის მიმართ დაინტერესებას, რაც პირდაპირ იმოქმედებს რეგიონის ეკონომიკის განვითარებაზე. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ტურიზმის სწორი განვითარებისათვის მტკიცებულებებზე დაფუძნებული ტურიზმის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაცემების სწორი ინტერპრეტირება, ხარისხიანი საცნობარო-საპრომოციო მასალის დროული მომზადება, ბეჭდვა და გავრცელება, ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება.		
	ქვეპროგრამის მიზანია კომპლექსის ინფრასტრუქტურული განვითარების უზრუნველყოფა, რაც თავისთავად გულისხმობს 10 წლის განმავლობაში ექსპლოატაციაში არსებული შენობა-ნაგებობების საჭიროების შემთხვევაში დროულ და ხარისხიან სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებას, არსებული ინფრასტრუქტურის შშმ და სსსმ პირებისთვის ადაპტირებასა და სხვა ღონისძიებების გატარებას. 8 ჰექტარამდე ტერიტორიის მოვლა პატრონობას - მწვანე საფარის ზოლის განახლებასა და გამრავალფეროვნებას, არსებული მრავალწლოვანი ნარგავების მოვლას, ტერიტორიის დასუფთავებას. კომპლექსის ვიზიტორების კმაყოფილებას ასევე განსაზღვრავს როგორც ციხის ტერიტორიაზე, ასევე ქალაქ ახალციხის მასშტაბით არსებული (სწრაფი) კვების ობიექტების, სუვენირების მაღაზიების, სასტუმროების, ბარების, კაფეების, რესტორნებისა და სხვა ტურისტული ინფრასტრუქტურის გამართულობა და ხელმისაწვდომობა. კომპლექსის ტერიტორიაზე არსებული ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი მუდმივად ზრუნავს და აახლებს საინფორმაციო ბაზას რეგიონის და ქალაქის სასტუმროების ფასების, ადგილების რაოდენობისა და სპეციალური შეთავაზებების შესახებ. ადგილზე ასევე შესაძლებელია რეგიონის მასშტაბით მოძრავი საჯარო ტრანსპორტის გრაფიკისა და ფასების შესახებ ინფორმაციის მიღება ქალაქების და სოფლები მიმართულებით.		
მოსალოდნელი შედეგი	ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ წარმოჩენა/პოპულარიზაცია, როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ტურისტების რაოდენობის ზრდის ხელშეწყობა ვიზიტორებისთვის მრავალფეროვანი და მაღალი სტანდარტის მომსახურების შეთავაზებით. ობიექტის სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა, შენახვა , დასუფთავება და გამწვანება. ინფრასტრუქტურულად გამართული ა(ა)იპ „ახალციხის ციხის“ მიერ მაღალკვალიფიციური კადრებით ვიზიტორებისათვის ხარისხიანი მომსახურების შეთავაზება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 07		261,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის, კულტურის, განათლებისა და ძეგლთა დაცვის განყოფილება.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალციხის მუნიციპალიტეტში კულტურული ღონისძიებების, ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების ორგანიზებას; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, შენარჩუნებას და სხვ; ქვეპროგრამების მიზანია: ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია, კულტურულ ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა, კულტურული პროექტების ორგანიზება- განხორციელება და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურის სფეროში მოღვაწე, განსაკუთრებული ნიჭის და შესაძლებლობების მქონე მეტი წარმოჩენილი ადამიანი, რომელთაც გაზრდილი აქვთ შემოქმედებითი საქმიანობის მოტივაცია; შენარჩუნებული კულტურული მემკვიდრეობა; ჩატარებული კულტურული პროექტების და ღონისძიებების გაზრდილი რაოდენობა და სხვ.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2023 წლის დაფინანსება
	05 02 08		ათას ლარებში
			696,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტში განხორციელდება კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების ხელშეწყობა, ხელოვნების პოპულარიზაცია და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კულტურული ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 02 09		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ეკლესიების და მონასტრების მისასვლელი გზების რეაბილიტაცია და კულტურული ძეგლების და რელიგიური ორგანიზაციების ინფრასტრუქტურული მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახის შენარჩუნება, მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, ტურიზმის ხელშეწყობა და სხვ.		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობისა და რელიგიური ძეგლების ისტორიული იერსახე შენარჩუნებულია, გაზრდილია ტურისტული პოტენციალი, მოწესრიგებულია ინფრასტრუქტურა.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 03 01		108,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებას, ღონისძიებების დაგეგმვას ახალციხის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის ოთხი მიმართულებით: 1. ახალგაზრდების დასაქმების ხელმისაწვდომობის გაზრდა; 2. ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის მიზნით შესაბამისი პირობების შექმნა; 3. ახალგაზრდების მონაწილეობის მხარდაჭერა; 4. ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება თანამშრომლობა ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან; ტურისტული ღონისძიებების ორგანიზება - ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ცნობადობის ამაღლება და ტურისტული პროდუქტის (ბუკლეტი, რუქა, საიმიჯო ბროშურების და ა.შ) ბეჭდვა; ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდობის გააქტიურება- ჩართულობის, ინიციატივების წახალისების, კომპეტენციების ამაღლების, საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა. ქვეპროგრამის მიზანია შეიქმნას და ხელი შეეწყოს ახალგაზრდების შეხვედრებს, სადაც მათ საშუალება მიეცემათ, გამოავლინონ თავიანთი ინიციატივები და გამართონ დისკუსიები (მაგ. ფილმების ჩვენება და შემდეგ დისკუსია), მათთვის საინტერესო და საჭირობო საკითხებზე. გამოავლინონ თავიანთი საჭიროებები და დასახონ სამოქმედო გეგმები. საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობის მიზნით კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე პირების დაჯილდოება, წახალისება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით და სხვა; შემუშავებულ იქნას შესაბამისი მიდგომები და პროგრამები ახალგაზრდების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ახალგაზრდობის კიდევ უფრო გააქტიურება, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, სპეციფიკური საჭიროებების და ინტერესების გათვალისწინება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა.		
	მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის შექმნილია შესაბამისი გარემო, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ჩართვა. შესწავლილი და გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების სპეციფიკური საჭიროებები და ინტერესები; პროფესიონალების მიერ შემუშავებულია შესაბამისი მიდგომები და პროგრამები. გაუმჯობესებულია ახალგაზრდების მდგომარეობა. ახალგაზრდების ინტელექტუალური დონე მნიშვნელოვნად ამაღლებულია, პროექტები განხორციელებულია თვისობრივად და ხარისხობრივად მაღალორგანიზებულად და სხვ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	თეარტები	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 04		175,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური		



პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრისა და ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ფინანსურ მხარდაჭერას და ხელშეწყობას. პროგრამის მიზანია ხელოვნების პოპულარიზაცია და რეგიონში კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ.
მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მოქალაქეების მხრიდან ხელოვნების მიმართ დაინტერესება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია	2023 წლის დაფინანსება ათას ლარებში
	05 05		30,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისა და USAID/Zrda-ის მხარდაჭერით, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არსებულმა ექვსივე მუნიციპალიტეტმა (ადიგენი, ასპინძა, ახალციხე, ახალქალაქი, ბორჯომი, ნინოწმინდა) დააფუძნა ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. ორგანიზაცია წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და მისი არსებობა დამოუკიდებელია მისი წევრებისგან. სამცხე-ჯავახეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია მიზნად ისახავს სფეროში ჩართულ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას რეგიონში. ტურისტული აქტივობებისა და მიმართულებების მხარდასაჭერად, ორგანიზაცია მოახდენს რეგიონის პოპულარიზებისაკენ მიმართული აქტივობების კოორდინირებას კერძო და საჯარო სექტორებსა და თვითონ ორგანიზაციის წევრებს შორის. აქტივობები განხორციელდება სტრატეგიის შემუშავებისა და რეგიონული ტურიზმის განვითარების კუთხით, ტურიზმის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად და საქართველოს ეროვნული ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და პრიორიტეტების მიხედვით. ორგანიზაცია ხელს შეუწყობს ახალი ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნას, როგორც ორგანიზაციის წევრების, ასევე ზოგადად, რეგიონში ტურიზმის სექტორის საკეთილდღეოდ; წახალისებს კერძო და საჯარო სექტორების თანამშრომლობას რეგიონული ტურიზმის პოპულარიზებისთვის აქტივობების დასაგეგმად და განსახორციელებლად. ხელს შეუწყობს რეგიონში მოქმედი ბიზნეს-კომპანიების ხარისხის განვითარებას და რეგიონის იმიჯის შექმნას, როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ, ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.		
მოსალოდნელი შედეგი	რეგიონის ტურიზმის სტრატეგიული დაგეგმვა, ტურიზმის სფეროში ჩართული მხარეების (სთეიქჰოლდერების) კოორდინაცია და სამცხე-ჯავახეთის, როგორც დანიშნულების ადგილის მარკეტინგი.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1 791,6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 791,6
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0
06 01 01	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	0,0
06 01 02	ამბულატორიების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,0
06 02	სოციალური დაცვა	1 791,6



06 02 01	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	4,0
06 02 02	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	222,6
06 02 03	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდების და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	19,0
06 02 04	ა(ა)იკ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	220,6
06 02 05	ხანძრით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება	18,0
06 02 06	იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა სოციალური დახმარება	283,6
06 02 07	99 წელს გადაცილებულ უხუცესთა და დედ-მამით ობოლ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება	42,0
06 02 08	ქალაქ ახალციხეში მგზავრთა გადაყვანის პროგრამა	44,0
06 02 09	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება ყოველ ახალშობილზე	97,0
06 02 10	ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ აწყურში განვითარებული მეწყერის შედეგად დაზარალებული ოჯახების თანადაფინანსება	10,0
06 02 11	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	830,7
06 02 12	ახალციხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლებში სოციალური შეღავათების მქონე პირთა შვილებისათვის სოციალური დახმარება	0,0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		4,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა უზრუნველყოფს დევნილთა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ (მიმდინარე საანგარიშო წელს) გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურებას, ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	სამიზნე ჯგუფებისათვის შემსუბუქებულია სოციალური მდგომარეობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		222,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებისთვის და შშმ ბავშვთათვის ყოველთვიური, კვარტალური და ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად; მკვეთრად გამოხატული შშმ პირების, მნიშვნელოვნად გამოხატული უსინათლო პირებისათვის არაფორმალური განათლების მისაღებად ხმოვანი კომპიუტერული ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა და შშმ პირების ადაპტირებულ დასასვენებელ სახლში შესაბამისი პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ბენეფიციარებისთვის სხვა სერვისების მიწოდების ხელშეწყობა და სხვ. ქვეპროგრამის მიზანია მოსარგებლე ბენეფიციარების საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება.
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები, მეტი ინტეგრირებული ოჯახი საზოგადოებაში.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	II მსოფლიო ომის ვეტერანების, ომის მონაწილე ინვალიდებისა და ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		19,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს II მსოფლიო ომის ვეტერანთა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სხვა ტერიტორიული ბრძოლების შედეგად დაზარალებულ, ომის მონაწილე შშმ პირთა და აღნიშნულ ბრძოლებში გარდაცვლილთა ოჯახების სოციალურ დახმარებას ფულადი ფორმით, სერვისების მიწოდების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის მიზანია ოჯახების თანადგომა და ფინანსური მხარდაჭერა. პროგრამის სამიზნე ჯგუფებისათვის და მათი ოჯახებისთვის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება, ომის მონაწილეთა ღვაწლის დაფასება, გარდაცვლილ ვეტერანთა სახელის უკვდავყოფა და სხვ.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციარისთვის შემცირებული ხარჯები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი პირების, უსახლკაროების კვებით უზრუნველყოფა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		220,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ ახალციხის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი		
